BM.I REPUBLIK ÖSTERREICH
BUNDESMINISTERIUM FÜR INNERES
SEKTION I-RESSOURCEN

Karlheinz Gortano
Polizeiattachè für Georgien und Aserbaidschan
Büro des österreichischen Polizeiattachès
Gia Chanturia Strasse 5/5/20, 0108 Tbilisi, Georgien
GSM: +43 664 811 7102
GSM: +995 577 908 907
Office: +995 32 2 98 23 05
Tiflis@bmi.gv.at
Baku@bmi.gv.at
karlheinz.gortano@bmi.gv.at

კარლჰაინც გორტანო
პოლიციის ატაშე საქართველოსა და აზერბაიჯანში
ავსტრიის პოლიციის ატაშეს ოფისი
გია ჭანტურიას ქ. 5/5/20, 0108 თბილისი, საქართველო
ტელ.: +43 664 811 7102
ტელ.: +995 577 908 907
ოფისი: +995 32 2 98 23 05
Tiflis@bmi.gv.at
Baku@bmi.gv.at
karlheinz.gortano@bmi.gv.at

<u>თემა:</u> შეზღუდული მხედველობის მქონე პირების მომსახურების დაწესებულებები; მედიკამენტების ხელმისაწვდომობა

<u>ნომერი:</u> **BMI-BA123001/0240-BFA-B/III/2018**

<u>დოკუმენტის ნომერი:</u> **18MA082-GE-005**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამილა ბარკალაიას

პატივცემულო ქალბატონო თამილა,
უპირველეს ყოვლისა, მოგესალმებით და გამოვხატავ ჩემს დიდ პატივისცემას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე.

ზემოთ დასახელებულ თემაზე დაყრდნობით გიგზავნით ქვემოთ მოცემულ შუამდგომლობას შეზღუდული მხედველობის მქონე პირების მომსახურების შესაძლებლობებთან, მათი დაფინანსების შესაძლებლობებთან და ასევე აუცილებელი მედიკამენტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

<u>საქმის ვითარება :</u>
საქართველოში მხედველობის დარღვევის მქონე პირებისთვის სამედიცინო შესაძლებლობების განხორციელებული შემოწმების დროს გამოვლინდა სათანადო შესაძლებლობები, რომლებიც დამატებით უნდა იქნას დადასტურებული. გარდა ამისა, ასევე აუცილებელია იმის დადასტურება, რომელ მომსახურებებს ფარავენ ამისათვის კომპეტენტური უწყებები და რომელი მომსახურებების დაფინანსებას ახორციელებენ თვითონ შესაბამისი პირები.

საჯარო სამედიცინო წყაროების თანახმად საქართველოში არსებობს მათ შორის „BLIND CHILDREN´S PUBLIC SCHOOL 202" (202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა), გუთნის ქუჩა 6 თბილისში და ასევე „GEORGIAN BLINDS´UNION"

ავსტრიის საელჩო თბილისი
ავსტრიის პოლიციის ატაშეს ოფისი
გია ჭანტურიას ქუჩა 5/5/20
0108 თბილისი, საქართველო

(საქართველოს უსინათლოთა კავშირი), რომლებიც კომპეტენტურნი არიან ასეთი ინვალიდობისთვის და ითვლებიან მომსახურების გამწევ დაწესებულებებად.

დამატებით აუცილებლად უნდა გაირკვეს, განკარგულებაში არის თუ არა საქართველოში განსაზღვრული მედიკამენტები, ან მოცემულია თუ არა ისინი სხვა სახით (მსგავსი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები) საქართველოში ნებადართული და რეგისტრირებული მედიკამენტების სიაში.

<u>გარკვევების შუამდგომლობა მხედველობის დარღვევასთან დაკავშირებით - მოვლის შესაძლებლობები:</u>

1. არის მოწყობილი ზემოთ დასახელებული დაწესებულები - სახელმწიფოს, კომპეტენტური სამინისტროს მიერ, თუ ისინი კერძო ორგანიზაციებია, რომლებსაც სახელმწიფო ფინანსურად ეხმარება?
2. ამ დასახელებულ დაწესებულებებთან ერთად არსებობს საქართველოში კიდევ სხვა დაწესებულებები, რომლებიც ზრუნავენ შეზღუდული მხედველობის მქონე პირებზე (უსინათლოებზე) და ამ დაწესებულებას სახელმწიფო აფინანსებს, სუბსიდირებულია თუ მთლიანად კერძოდ ფინანსდება?
3. არსებობს ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო დაწესებულებები შეზღუდული მხედველობის მქონე პირებისთვის, სადაც სახეზეა 24/7 მოვლა/მომსახურება და სადაც შეიძლება გარანტირებულ იქნას მათი უზრუნველყოფა (მოვლა, სამედიცინო მომსახურება)? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, როგორ გამოიყურება მაქსიმალური მოვლის შესაძლებლობები შეზღუდული მხედველობის მქონე პირებისთვის?
4. ამასთან დაკავშირებით არსებობს კერძო დაწესებულებები შეზღუდული მხედველობის მქონე პირებისთვის, სადაც სახეზეა 24/7 მოვლა/მომსახურება და სადაც შეიძლება გარანტირებულ იქნას მათი უზრუნველყოფა (მოვლა, სამედიცინო მომსახურება)? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეხმარება სახელმწიფო ფინანსურად ამ დაწესებულებებს, ეხმარება სახელმწიფო ფინანსურად იმ პირებს, რომლებიც სარგებლობენ ამ დაწესებულებებით და დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა ოდენობას წარმოადგენს სახელმწიფოს ფინანსური დახმარების თანხები?
5. იმ მედიკამენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ესაჭიროება პაციენტებს, შემიძლია გკითხოთ, არის თუ არა განკარგულებაში ქვემოთ მოცემული

Data related to named individuals may be used solely for the designated purpose. Incorrect or unlawfully obtained data, or data no longer needed for the respective task, must be deleted. We reserve the right to enquire about the use of the data provided. Under Austrian law, criminal record details will be deleted after 3, 5, 10 or 15 years, depending on the seriousness of the crime. However, they will not be deleted in cases where a life sentence has been imposed.

Personenbezogene Daten dürfen nur zu dem Zweck verwendet werden, zu dem sie übermittelt wurden. Unrichtige, rechtswidrig ermittelte oder nicht mehr zur Aufgabenerfüllung benötigte Daten sind zu löschen. Wir behalten uns vor, um Auskunft über die Verwendung übermittelter Daten zu ersuchen. Nach nationalem Recht sind Strafregisterdaten je nach Schwere der Straftat nach 3, 5, 10 oder 15 Jahren, nicht jedoch solche über lebenslange Freiheitsstrafen, zu löschen.

ავსტრიის საელჩო თბილისი
ავსტრიის პოლიციის ატაშეს ოფისი
შიო ჭანტურიას ქუჩა 5/5/20
0108 თბილისი, საქართველო

მედიკამენტები ამ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, არსებობს თუ არა მედიკამენტები სხვა სახელებით მსგავსი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით? რა ღირს ეს მედიკამენტები საქართველოში იმ შემთხვევაში, თუ პაციენტებმა ისინი თვითონ უნდა შეიძინონ?

a. Odftagel

b. World medicine dextran

c. Hyaluronic serum

d. Zoloft

6. გადასცემს ამ მედიკამენტებს სახელმწიფო განკარგულებაში შესაბამის პაციენტებს? რა ოდენობას შეადგენს თვითმონაწილეობის ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ აფინანსებს ამ მედიკამენტებს?
7. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადასცემს განკარგულებაში ამ მედიკამენტებს, რა პერიოდის განმავლობაში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ასეთი მედიკაციის დახმარება?

სიამოვნებით ვიქნები თქვენს განკარგულებაში შესაძლო შეკითხვების და გარკვევების შემთხვევაში.

წინასწარ გიხდით მადლობას ძალისხმევისთვის და გარკვევებისთვის.
მეკავშირე ოფიცერი:
კარლჰაინც გორტანო
თბილისი, 09.03.2018 წ.

ავსტრიის საელჩო თბილისი
ავსტრიის პოლიციის ატაშეს ოფისი
გია ჭანტურიას ქუჩა 5/5/20
0108 თბილისი, საქართველო

THE TBILISI SECTION OF THE AUSTRIAN EMBASSY
20457890

Data related to named individuals may be used solely for the designated purpose. Incorrect or unlawfully obtained data, or data no longer needed for the respective task, must be deleted. We reserve the right to enquire about the use of the data provided. Under Austrian law, criminal record details will be deleted after 3, 5, 10 or 15 years, depending on the seriousness of the crime. However, they will not be deleted in cases where a life sentence has been imposed.

Personenbezogene Daten dürfen nur zu dem Zweck verwendet werden, zu dem sie übermittelt wurden. Unrichtige, rechtswidrig ermittelte oder nicht mehr zur Aufgabenerfüllung benötigte Daten sind zu löschen. Wir behalten uns vor, um Auskunft über die Verwendung übermittelter Daten zu ersuchen. Nach nationalem Recht sind Strafregisterdaten je nach Schwere der Straftat nach 3, 5, 10 oder 15 Jahren, nicht jedoch solche über lebenslange Freiheitsstrafen, zu löschen.